

მასწავლებლის პროფესიული გადაწვა და ინკლუზიური განათლების  
ორგანიზების საკითხები

მარიამ აზარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნათა შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა - ფსიქოლოგია

(სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

კლინიკური ფსიქოლოგია

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, დაადგინოს კავშირები მასწავლებლის პროფესიულ გადაწყვეტასა და ინკლუზიური განათლების ორგანიზების საკითხებს შორის, კერძოდ 1) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის გავლენას მასწავლებლის პროფესიულ გადაწყვეტაზე, 2) სპეციალური პედაგოგისა და საგნის მასწავლებელს შორის გუნდური მუშაობის გავლენას მასწავლებლის პროფესიულ გადაწყვეტაზე. კვლევაში გამოყენებულ იქნა ორი საკვლევი ინსტრუმენტი: 1) კრისტინა მასლაჩის პროფესიული გადაწყვეტის ინსტრუმენტი განათლების სფეროში დასაქმებულთათვის (Maslach, MBI-ES, 1986), რომელიც ადგენს პროფესიული გადაწყვეტის არსებობას და მის სიმძიმის ხარისხს. 2) ჩემს მიერ შედგენილი კითხვარი, საგნის მასწავლებელსა და სპეციალურ პედაგოგს შორის ეფექტური გუნდური მუშაობის ხარისხის დასადგენად. კვლევა ჩატარდა ერი სკოლის ბაზაზე და მასში მონაწილეობა მიიღო სულ 32 მასწავლებელმა, რომლებიც ასწავლიდნენ მინიმუმ 2 , ან 2-ზე მეტ სსსმ მოსწავლეს. კვლევის შედეგებმა აჩვენა: გამოკითხულ მასწავლებლებლებში გამოვლინდა პროფესიული გადაწყვეტა. მაღალი ხარისხის გადაწყვეტა 4,5 % , საშუალო 50%, დაბალი 45,5%.

1) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა დადებით კორელაციაში აღმოჩნდა მასწავლებლის ემოციურ გამოფიტვასთან.

2) უარყოფითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ეფექტურ გუნდურ მუშაობას (საგნის მასწავლებელსა და სპეციალური პედაგოგს შორის) და მასწავლებლის პროფესიულ გადაწყვეტას შორის.

3) უარყოფითი კორელაციური კავშირები გამოვლინდა მასწავლებლის პროფესიულ გადაწყვეტის ასპექტებს: დეპერსონალიზაციის და ემოციურ გამოფიტვასა და ეფექტურ გუნდურ მუშაობას შორის.

**ძირითადი საკვანძო სიტყვები:** პროფესიული გადაწყვეტა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სპეციალური პედაგოგი